დამიჯერე

დამიჯერე, ვამბობ, რომ უჯერავლეს, -
სრულებით უბრალო რკინას იტყვიან!
ხის თეფში რა გინდა ზარნიშით მოაწყონ,.
მაინც დასაწვავსა პინას იტყვიან!

სიტყვა უნდა ერთნაირი ზოლზედა...
ეშმაკია, ვინც აჰყვება ბოლზედა!..
ან ფერზედ იცნობენ, ან ფოთოლზედა, -
განა ყველა ბალახს ჰინას იტყვიან?

ზარბაბი გაგიცვდეს - იყიდე შალი,
რეცხას ვერ გაუძლებს, ვაჰ, ხამის ბრალი!
რიდეს მოუხდება ალმასი-ლალი,
ოქროთ მიყენილი, მინას იტყვიან!

ზოგი კაცი იტყვის - კაი გვარი ვარ,
მაშინ ტირიფიც იტყვის: კვარი ვარ
საქართველოს მეფის საზანდარი ვარ,
საიათნოვას-არუთინას იტყვიან!